„დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
_____ ს. ტეფნაძე
08 _____ 2019
დადგენილება № 08/35

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2
i. ცვლილებები 3
ii. ცვლილებების ისტორია 4
iii. მოქმედი გვერდების სია 5
2 დოკუმენტაციის კონტროლი 6
2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6
3 ძირითადი ნაწილი 7
მუხლი 1. მიზანი 7
მუხლი 2. პროგრამების განახლება/გაუმჯობესება 7
მუხლი 3. პროგრამების შეფასების შიდა მექანიზმები 8
მუხლი 4. პროგრამების შეფასების გარე მექანიზმები 8
მუხლი 5. პროგრამების შეფასება 8
მუხლი 6. პროგრამის მართვა 9
პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობები 9
პროგრამის მართვის ჯგუფი 9
მუხლი 7. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა 9
მუხლი 8. სტუდენტების ჩართულობა პროგრამების შეფასებაში 10
მუხლი 9. გარე განხილვის მექანიზმები პროგრამების შეფასებისას 10
მუხლი 10. პროგრამის შეფასების ყოველწლიური ანგარიში 10
მუხლი 11. პროგრამების ცვლილება/გაუმჯობესება 11
მუხლი 12. პროგრამების შეფასებისა და განახლების/გაუმჯობესების პროცესის შეფასება 11
4 დანართები 12
4.1 დანართი 1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი 12
4.2 დანართი 2. სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის პროგრამის შეფასების კითხვარი 15
4.3 დანართი 3. კურსდამთავრებულის მიერ უნივერსიტეტის შეფასების კითხვარი 17
4.4 დანართი 4. დამსაქმებლის მიერ უნივერსიტეტის შეფასება 19
4.5 დანართი 5. წლიური ანგარიშის ფორმა 20

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**		**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**
0	1	0	ივლისი 2019					
1	2	0	ივლისი 2019					
i	3	0	ივლისი 2019					
ii	4	0	ივლისი 2019					
iii	5	0	ივლისი 2019					
2	6	0	ივლისი 2019					
3	7	0	ივლისი 2019					
3	8	0	ივლისი 2019					
3	9	0	ივლისი 2019					
3	10	0	ივლისი 2019					
3	11	0	ივლისი 2019					
4	12	0	ივლისი 2019					
4	13	0	ივლისი 2019					
4	14	0	ივლისი 2019					
4	15	0	ივლისი 2019					
4	16	0	ივლისი 2019					
4	17	0	ივლისი 2019					
4	18	0	ივლისი 2019					
4	19	0	ივლისი 2019					
4	20	0	ივლისი 2019					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
საინჟინრო ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. მიზანი

1. საავიაციო უნივერსიტეტის პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი შესაბამისობის უზრუნველყოფა დარგობრივ სტანდარტებთან და სიახლეებთან, ასევე პროფესიულ და ინდუსტრიულ პრაქტიკასთან და სწავლების უახლეს მეთოდებთან. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს ისეთი გარე ფაქტორების ცვლილებას, როგორიცაა პროფესიული, დარგობრივი თუ საკანონმდებლო მოთხოვნების ცვლილება და უნივერსიტეტის სტრატეგიასა და მიზნებთან შესაბამისობა. უნივერსიტეტი მუდმივად აფასებს სტუდენტების მიერ სწავლების სავალდებულო შედეგების მიღწევას და საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმილი კომპეტენციის შეძენას, რომლის პარალელურად ხდება ცოდნისა და კომპეტენციის შეფასების მეთოდების ეფექტურობის გადამოწმებაც.
2. შეფასების პროცესი ცხადჰყოფს, თუ რა სახის გაუმჯობესებას საჭიროებს საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტების მიერ უფრო ღრმა ცოდნის მიღების, სწავლების მეთოდებისა და შეფასების მექანიზმების დახვეწის კუთხით.
3. საავიაციო უნივერსიტეტში პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესის კიდევ ერთი დანიშნულებაა განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინება, იმის უზრუნველსაყოფად, რომ თითოეულ სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი დონის ცოდნისა და კომპეტენციის მიღების საშუალება.

მუხლი 2. პროგრამების განახლება/გაუმჯობესება

1. პროგრამების შეფასების პროცესი უნივერსიტეტს ეხმარება იმ აუცილებელი ცვლილებების გამოვლენაში, რომელთა განხორციელება საჭიროა პროგრამის გაუმჯობესებისათვის. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის განათლების სფეროში არსებულ ტენდენციებს, გარე ფაქტორების ცვლილებებს, აგროვებს პროგრამების შეფასების პროცესის ფარგლებში ჩატარებული შიდა და გარე გამოკითხვების შედეგებს და გამოავლენს გასაუმჯობესებელ მხარეებს/ასპექტებს, რის შემდეგაც ხდება პროგრამაში ცვლილების შეტანის/განახლების გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება.
2. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შინაარსი მნიშვნელოვნად იცვლება, უნივერსიტეტი ითვალისწინებს ამ ცვლილების გავლენას სტუდენტებზე და ახდენს მათ დროულ და სათანადო ინფორმირებას. უნივერსიტეტი ცდილობს პროგრამის ცვლილება განახორციელოს ისე, რომ აკადემიური სტანდარტები, სწავლების ხარისხი და სწავლის შესაძლებლობები უცვლელი დარჩეს.
3. პროგრამების შეფასების შედეგებზე ან სხვა გარემოებების გამო (მოთხოვნის შემცირება მიწოდებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, აკადემიური პერსონალის ცვლილება, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების ცვლილება, ა.შ.), უნივერსიტეტმა შეიძლება მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შეწყვეტის გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტი განიხილავს ცვლილების გავლენას საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებზე და იყენებს პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 3. პროგრამების შეფასების შიდა მექანიზმები

1. საავიაციო უნივერსიტეტის პროგრამების შეფასების პროცესში აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
2. საავიაციო უნივერსიტეტი აცნობიერებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობის მნიშვნელობას საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში და ხელს უწყობს მათ აქტიურ მონაწილეობას ამ პროცესში. სასწავლო პროგრამის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სწავლების მეთოდებთან, სასწავლო მასალის აქტუალურობასთან, კურსის ხანგრძლივობასთან და სხვა ასპექტებთან დაკავშირებით. პერსონალის მიერ უკუკავშირი ხორციელდება როგორც გამოკითხვის, ასევე პროგრამის მართვის ჯგუფისა და ხელმძღვანელის ინფორმირების გზით.
3. სტუდენტები პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში ჩართული არიან გამოკითხვებისა და აკადემიური შეფასების მექანიზმების მეშვეობით. სტუდენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს, რომელსაც შეუძლია შეფასების პროცესს მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო კურსის ეფექტურობის, სწავლებისა და სწავლის პროცესში მიღებული გამოცდილებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების თაობაზე. პროგრამების შეფასებისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს როგორც სტუდენტებისგან მიღებულ უკუკავშირს, ასევე მათ აკადემიურ მოსწრებას და აკადემიურ საჩივრებსა და აპელაციებს.

მუხლი 4. პროგრამების შეფასების გარე მექანიზმები

1. გარეშე პირებისგან საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია უნივერსიტეტს ეხმარება მიიღოს დამატებითი მიუკერძოებელი ინფორმაცია და ობიექტურად შეაფასოს მის მიერ მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამები.
2. შეფასების გარე მექანიზმებში მოიაზრება:
   - 2.1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები;
   - 2.2. სამოქალაქო ავიაციის სააგენტო;
   - 2.3. ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო (EASA);
   - 2.4. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ICAO);
   - 2.5. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
   - 2.6. დამსაქმებელთა გამოკითხვა.

მუხლი 5. პროგრამების შეფასება

1. პროგრამის მართვასა და ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებლობა ეკისრება **პროგრამის ხელმძღვანელს**. პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის ხელმძღვანელი ან სპეციალურად ამ ფუნქციის შესასრულებლად შერჩეული აკადემიური პერსონალი.
2. ყველა პროგრამას უნდა ჰყავდეს რექტორის მიერ დანიშნული პროგრამის ხელმძღვანელი. მისი არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას შეასრულებს ბრძანებით განსაზღვრული პირი. პროგრამის ხელმძღვანელების სია ინახება ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან.
3. პროგრამას შეიძლება ჰყავდეს 1 ან რამდენიმე თანახელმძღვანელი.

მუხლი 6. პროგრამის მართვა

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და პასუხისმგებლობები

1. საავიაციო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისთვის შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების მართვა და ხარისხი, უნივერსიტეტის მთავარი საზრუნავია. პროგრამების მართვასა და ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და რექტორის მიერ დანიშნულ პროგრამის ხელმძღვანელს. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები დეტალურად არის აღწერილი საავიაციო უნივერსიტეტის დებულებაში.
2. პროგრამის ხელმძღვანელი, როგორც პროგრამის მართვის ჯგუფის უფროსი ხარისხის სამსახურთან ერთად, პასუხისმგებელია:
   - 2.1. შიდა და გარე გამოკითხვების ორგანიზებაზე;
   - 2.2. გამოკითხვის შედეგების შენახვასა და სტატისტიკურ ანალიზზე;
   - 2.3. სტუდენტთა აკადემიური მოსწრებისა და შეფასების მონაცემების მონიტორინგსა და სტატისტიკურ ანალიზზე;
   - 2.4. პროგრამის შეფასების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებასა და გავრცელებაზე.

პროგრამის მართვის ჯგუფი

1. ყველა პროგრამას ჰყავს წინასწარ განსაზღვრული პროგრამის მართვის ჯგუფი, რომელიც:
   - 1.1. ეხმარება პროგრამის ხელმძღვანელს მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულებაში;
   - 1.2. ახორციელებს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში განსაზღვრულ მოვალეობებს;
   - 1.3. მონაწილეობს პროგრამის შეფასების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში;
2. პროგრამის მართვის ჯგუფის შემადგენლობას ადგენს ფაკულტეტის ხელმძღვანელი. პროგრამების მართვის ჯგუფების რაოდენობის შემცირება შესაძლებელია ერთი და იმავე დისციპლინის ფარგლებში წარმართული სასწავლო კურსების დაჯგუფებით.
3. პროგრამების მართვის ჯგუფს ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი. მართვის ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, აკადემიური პერსონალი და საჭიროების შემთხვევაში მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, რომელიც ჩართულია აღნიშნული პროგრამის სწავლებაში.
4. პროგრამის მართვის ჯგუფის სამუშაო შეკრებების სიხშირეს განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელი.

მუხლი 7. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა

1. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში მოწმდება შემდეგი კომპონენტები:
   - 1.1. სასწავლო პროგრამის ფარგლებში წარმართული კურსებისა და გამოყენებული მასალების შესაბამისობა და ხარისხი;
   - 1.2. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი პერსონალისა და რესურსების შესაბამისობა/საკმარისობა;
   - 1.3. შეფასების მექანიზმების, მოთხოვნებისა და კრიტერიუმების თავსებადობა სწავლების მიზნებთან;

1.4. სასწავლო პროგრამის შინაარსის შესაბამისობა სწავლების მიზნობრივ შედეგებთან (კომპეტენციებთან);
1.5. მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა;
1.6. პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან და სხვა.

მუხლი 8. სტუდენტების ჩართულობა პროგრამების შეფასებაში

1. პროგრამის ხელმძღვანელის ერთ-ერთი მოვალეობაა სტუდენტებთან კომუნიკაციის ეფექტური საშუალების შემუშავება, მათგან საჭირო ინფორმაციისა და უკუკავშირის მიღების მიზნით. კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს პერიოდული შეხვედრები (სემესტრის მანძილზე ერთხელ) კონსტრუქციულ გარემოში, სადაც მოეწყობა პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების ღია განხილვები და მსჯელობა. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია შეაგროვოს და გააანალიზოს ღია განხილვებისა და გამოკითხვების შედეგები.
2. უნივერსიტეტი ასევე იყენებს სტუდენტთა გამოკითხვის მექანიზმს, როგორც სწავლა-სწავლების ინდიკატორების გაზომვის ერთ-ერთ საშუალებას. სტუდენტთა გამოკითხვა იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას სასწავლო კურსის სტრუქტურის, აკადემიური და მოწვეული მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალებისა და სხვა ასპექტების თაობაზე.
3. სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარები მოცემულია (დანართი 4.1-4.2)
4. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს გამოკითხვის ფარგლებში შეგროვებული ინფორმაციის სტატისტიკურ ანალიზს და მიღებულ შედეგებს პროგრამის შეფასების ყოველწლიური ანგარიშის სახით წარუდგენს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

მუხლი 9. გარე განხილვის მექანიზმები პროგრამების შეფასებისას

1. უნივერსიტეტი პროგრამების შეფასების პროცესში აქტიურად იყენებს გარე განხილვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას. გარე განხილვა მოიცავს:
   1.1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებს;
   1.2. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ზედამხედველობის შედეგებს;
   1.3. კურსდამთავრებულთა გამოკითხვას; (დანართი 4.3)
   1.4. დამსაქმებელთა გამოკითხვას. (დანართი 4.4)
2. პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიური შეფასების ანგარიშის მომზადებისას იყენებს ზემოხსენებული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის შედეგებს და მიღებული უკუკავშირის შედეგად გამოავლენს საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებს.

მუხლი 10. პროგრამის შეფასების ყოველწლიური ანგარიში

1. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის მართვის ჯგუფის დახმარებით ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიით მიღებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს ყოველწლიური შეფასების ანგარიშს. (დანართი 4.5 წლიური შეფასების ფორმა).
2. პროგრამის ყოველწლიური შეფასების ანგარიშში ძირითადი აქცენტები კეთდება ისეთ ინდიკატორებზე, როგორიცაა სტუდენტის/კურსდამთავრებულის კმაყოფილება.

3. შეფასების ანგარიშში მითითებული უნდა იყოს პროგრამის გაუმჯობესების რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც მოხდება პროგრამის ცვლილების/გაუმჯობესების ინიცირება.

მუხლი 11. პროგრამების ცვლილება/გაუმჯობესება

1. პროგრამის ცვლილება/გაუმჯობესება ხორციელდება არანაკლებ 5 წელიწადში ერთხელ სავალდებულოდ ან საჭიროებისამებრ ყოველწლიური შეფასების შედეგებიდან გამომდინარე. ცვლილებების/გაუმჯობესების პროცესი ხორციელდება პროგრამის შემუშავების პროცესის იდენტურად, იმ განსხვავებით, რომ პროგრამის შინაარსის, სწავლების მეთოდების, ხანგრძლივობის, სასწავლო მასალების, კურსზე დაშვების წინაპირობისა და შეფასების კრიტერიუმების დადგენისას პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი გაითვალისწინებს წინა წლებში განხორციელებული შეფასების ყოველწლიურ ანგარიშში მითითებულ რეკომენდაციებს.
2. პროგრამაში შესული ცვლილებები ძალაში შედის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (შესაბამისი ოქმი).

მუხლი 12. პროგრამების შეფასებისა და განახლების/გაუმჯობესების პროცესის შეფასება

1. უნივერსიტეტი მუდმივი მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესის ფარგლებში ახორციელებს პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესის ეფექტურობის გადამოწმებას იმის დასადგენად, რომ:
   1.1. პროცესი ეფექტურია დასახული მიზნების მისაღწევად (უზრუნველყოფს განათლების პროცესის გაუმჯობესებას);
   1.2. იგი არ წარმოადგენს ბიუროკრატიულ და ადმინისტრაციულ ტვირთს პერსონალის/სტუდენტებისა და პროცესში ჩართული სხვა პირებისათვის.

4 დანართები

4.1 დანართი 1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი

	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი	**თარიღი**	მარტი 2018
		თავი	0
		გვერდი	1/3
		ცვლილება	0

1. რომელ პროგრამაზე სწავლობთ? _____
_____

2. ხართ თუ არა დასაქმებული? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ კვირაში რამდენი საათი მუშაობთ:
   ა. არაუმეტეს 20 საათი;
   ბ. 20-დან 40 საათამდე;
   გ. 40 საათზე მეტი;
   დ. მე არ მაქვს სამსახური.

3. დღის რომელ ნახევარში სწავლობთ?
   ა. დილა;
   ბ. საღამო.

4. საშუალოდ კვირაში რამდენი საათი გჭირდებათ საშინაო დავალების შესასრულებლად?
   ა. 5 საათზე ნაკლები
   ბ. 5 – 10 საათი
   გ. 10 – 15 საათი
   დ. 15 საათზე მეტი

5. შეაფასეთ, რამდენად კარგად ფლობენ ფაკულტეტის წარმომადგენლები ინფორმაციას თქვენი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. არ მაქვს პასუხი

6. როგორაა უზრუნველყოფილი ფაკულტეტის მიერ თქვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების ხარისხი?
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. 0

7. რამდენად გულისხმიერები არიან ფაკულტეტის წარმომადგენლები სტუდენტების მიმართ?
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. 0

8. როგორ შეაფასებთ ლექტორების/ინსტრუქტორების უმრავლესობის პროფესიონალიზმს თქვენს პროგრამაზე?
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. 0

9. მონაწილეობდით თუ არა გაცვლით პროგრამაში? (დაასახელეთ სასწავლო დაწესებულება)
   ა. ერთხელ
   ბ. ორჯერ ან მეტჯერ
   გ. არ მიმიღია მონაწილეობა

10. გსურთ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება?
    ა. დიახ (დაასახელეთ სასწავლო დაწესებულება)
    ბ. არა

11. დანომრეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები თქვენი პრიორიტეტების შესაბამისად (1-დან 6-მდე):

	ვისურვებდი მეტი ლექცია ტარდებოდეს საღამოობით;
	ვისურვებდი სასწავლებელი იძლეოდეს მეტ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის საშუალებას;
	ვისურვებდი უცხო ენების მეტ არჩევითობას საგანმანათლებლო პროგრამაში;
	ვისურვებდი მეტი ყურადღება ეთმობოდეს სპეციალიზაციის საგნებს;
	ვისურვებდი მეტი ყურადღება ეთმობოდეს ზოგად საგნებს;
	ვისურვებდი მეტი ყურადღება ეთმობოდეს ცალკეულ საგნებში დამოუკიდებელ შრომაზე დაფუძნებულ (საკურსო) პროექტებს;

12. გაუწევდით თუ არა რეკომენდაციას თქვენს საგანმანათლებლო პროგრამას
    ა. დიახ
    ბ. არა

13. მთლიანობაში როგორ შეაფასებდით სასწავლო პროგრამას?
    ა. 4
    ბ. 3
    გ. 2
    დ. 1
    ე. 0

14. ჩამოთვალეთ პროგრამის ძლიერი მხარეები:

_____

_____

_____

	საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი	**თარიღი**	მარტი 2018
		თავი	0
		გვერდი	3/3
		ცვლილება	0

15. ჩამოთვალეთ პროგრამის სუსტი მხარეები:

_____
_____
_____

16. რომელი სასწავლო კურსი გსურთ რომ გაძლიერდეს პროგრამაში?

_____
_____
_____

17. რა სასწავლო კურსებია საუკეთესო თქვენს პროგრამაზე და რატომ თვლით ასე?

_____
_____
_____

18. რომელ სასწავლო კურსებს შეაფასებდით ყველაზე უარყოფითად თქვენს პროგრამაში და რატომ თვლით ასე?

_____
_____
_____

19. რა რეკომენდაციები გაქვთ პროგრამის ხელმძღვანელისადმი?

_____
_____
_____

4.2 დანართი 2. სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის პროგრამის შეფასების კითხვარი

	სასწავლო კურსის/ საგნის/მოდულის შეფასების კითხვარი	**თარიღი**	მარტი 2018
		თავი	0
		გვერდი	1/2
		ცვლილება	0

1. მიუთითეთ, რომელი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის შეფასებას ახდენთ:
   _____
2. ვინ გასწავლიდათ ზემოთაღნიშნულ სასწავლო კურსს?
   _____
3. სააუდიტორო დატვირთვისას შესრულებული სამუშაო:
   ა. შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანს და ამოცანებს;
   ბ. მეხმარება ინტელექტუალურ განვითარებაში;
   გ. არ შეესაბამება სასწავლო კურსის მიზანს და ამოცანებს;
   დ. აუდიტორიაში არანაირი სამუშაო არ ტარდება;
   ე. ტარდება ზედმეტად ინტენსიურად.
4. ქულათა განაწილება:
   ა. ყოველთვის ადეკვატურია;
   ბ. ნაწილობრივ ადეკვატურია;
   გ. არა ადეკვატურია.
5. როგორი რეგულარულობით ახდენდა ლექტორები დავალებების შემოწმებას/შეფასებას?
   ა. ყოველ შეხვედრაზე;
   ბ. კვირაში ერთხელ;
   გ. სემესტრში 5-7 ჯერ;
   დ. არ ამოწმებს.
6. ღებულობდით თუ არა განმარტებებს ლექტორის მხრიდან თქვენი ნაშრომის შეფასებებზე?
   ა. ყოველთვის ვღებულობდი და განმარტებას ვეთანხმებოდი;
   ბ. ყოველთვის ვღებულობდი და განმარტებას არ/ნაწილობრივ ვეთანხმებოდი;
   გ. განმარტებებს ვღებულობდი საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში;
   დ. განმარტებებს ვერ ვიღებდი.
7. რამდენად კმაყოფილი ხართ ლექტორის ახსნისა და კომუნიკაციის უნარებით?
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. 0
8. საინტერესო და გასაგები იყო თუ არა თქვენთვის ლექტორის მიერ წარმოდგენილი მასალები?
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. 0

	სასწავლო კურსის/ საგნის/მოდულის შეფასების კითხვარი	**თარიღი**	მარტი 2018
		თავი	0
		გვერდი	2/2
		ცვლილება	0

9. როგორ შეაფასებთ ლექციების დროს თქვენს კომუნიკაციას ლექტორებთან?
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. 0

10. როგორ შეაფასებთ არასალექციო დროს თქვენს კომუნიკაციას ლექტორებთან?
   ა. 4
   ბ. 3
   გ. 2
   დ. 1
   ე. 0

4.3 დანართი 3. კურსდამთავრებულის მიერ უნივერსიტეტის შეფასების კითხვარი

	კურსდამთავრებულების მიერ უნივერსიტეტის შეფასების კითხვარი	**თარიღი**	მარტი 2018
		თავი	0
		გვერდი	1/2
		ცვლილება	0

ბოგესალმებით,
გიკავშირდებით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტიდან. გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ იმ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში, რომლის კურსდამთავრებული ბრძანდებით და შეავსოთ ქვემოთ მოცემული კითხვარი.
კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა [____@ssu.edu.ge].
ტელეფონი:
გთხოვთ გაითვალისწინოთ, თქვენი დახმარება დიდად დაგვეხმარება სასწავლო პროცესის სრულყოფასა და სწავლების ხარისხის ამაღლებაში.

1. სახელი, გვარი, სამუშაო პოზიცია (თუ არ მუშაობთ მიუთითეთ):
   _____
   _____
   _____

2. რომელი პროგრამა დაამთავრეთ და როდის:
   _____
   _____
   _____

3. პროგრამამ მომცა შესაბამისი ცოდნა და გამომიმუშავა საჭირო უნარ-ჩვევები:
   ა. ჩემი პირველი სამუშაოსათვის;
   ბ. ჩემი ამჟამინდელი სამუშაოსათვის.

4. რა იყო ყველაზე სასარგებლო რამ, რაც მოგცათ ამ პროგრამაზე სწავლამ?
   _____
   _____
   _____

5. რა ისწავლეთ ისეთი, რაც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს ამჟამინდელ სამსახურეობრივ პოზიციას?
   _____
   _____
   _____

6. რომელ სასწავლო კურსს/კურსებს ისურვებდით რომ გაგევლოთ, ან შემოეთავაზებინა უნივერსიტეტს?
   _____
   _____
   _____

7. რამ მიგაღებინათ საავიაციო უნივერსიტეტის არჩევის გადაწყვეტილება? (მიიღებდით თუ არა იგივე გადაწყვეტილებას ახლა?)
   _____
   _____

_____

8. გაამართლა თუ არა საავიაციო უნივერსიტეტმა თქვენი მოლოდინი? (რატომ?)

_____
_____
_____

9. ამჟამად გაქვთ თუ არა რაიმე სახის კავშირი საავიაციო უნივერსიტეტთან? (რა სახის?)

_____
_____
_____

10. გაიარეთ თუ არა სასწავლო კურსთან ან კარიერასთან დაკავშირებული კონსულტაცია? (დადებითი პასუხის შემთხვევაში დაწერეთ როგორ შეაფასებდით საკონსულტაციო პროცესს და დღეისათვის გაქვთ თუ არა კავშირი თქვენს კონსულტანტთან)

_____
_____
_____

11. იყვნენ ფაკულტეტის წარმომადგენლები ხელმისაწვდომი? (იყვნენ თუ არა კომპეტენტურები თავიანთ სფეროში და გიწევდნენ თუ არა სრულფასოვან კონსულტაციას?)

_____
_____
_____

4.4 დანართი 4. დამსაქმებლის მიერ უნივერსიტეტის შეფასება

	დამსაქმებლის მიერ უნივერსიტეტის შეფასების კითხვარი	**თარიღი**	მარტი 2018
		თავი	0
		გვერდი	1/1
		ცვლილება	0

მოგესალმებით,
გიკავშირდებით საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტიდან. გთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში და შეავსოთ ქვემოთ მოცემული კითხვარი, რომელიც ემსახურება ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას.
კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: ელ. ფოსტა [____@ssu.edu.ge].
ტელეფონი:
გთხოვთ გაითვალისწინოთ, თქვენი დახმარება დიდად დაგვეხმარება სასწავლო პროცესის სრულყოფასა და სწავლების ხარისხის ამაღლებაში.

ორგანიზაცია: _____
თქვენი სახელი, გვარი: _____
სამსახურეობრივი პოზიცია: _____

1. საავიაციო უნივერსიტეტის რამდენი კურსდამთავრებული აიყვანეთ სამუშაოდ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში? _____
2. კმაყოფილი ხართ თუ არა მათი მუშაობით? _____
3. რამდენმა მათგანმა შეძლო კარიერული წინსვლა? _____
4. თუ რომელიმე მათგანი აღარ არის თქვენთან დასაქმებული, რა არის მათი წასვლის მიზეზი? _____
5. ქონდათ თუ არა საავიაციო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს სამუშაოსათვის შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები? (ჩამოთვალეთ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები)
   _____
   _____
   _____
6. შესაბამის დონეზე ფლობდნენ თუ არა ისინი თანამედროვე ტექნოლოგიებს?
   _____
   _____
   _____
7. რა წვლილი შეიტანეს მათ სამუშაო სფეროს განვითარებაში?
   _____
   _____
   _____
8. თქვენი აზრით რომელი კომპეტენციების განვითარებას უნდა მიექცეს უფრო მეტი ყურადღება სტუდენტთა სწავლების პროცესში?
   _____
   _____
   _____

4.5 დანართი 5. წლიური ანგარიშის ფორმა

	წლიური ანგარიშის ფორმა	თარიღი	მარტი 2018
		თავი	0
		გვერდი	1/1
		ცვლილება	0

ინფორმაცია პროგრამის თაობაზე

პროგრამის სახელწოდება

სწავლების ენა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
ხელმძღვანელი

პროგრამის მართვის ჯგუფის წევრები

სწავლების დაგეგმილი შედეგები

სწავლების ფორმა

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში გამოყენებული მასალები

გარე ფაქტორების ანალიზი:

საკანონმდებლო (დარგობრივი, განათლების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების) ცვლილებები

პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული შიდა მექანიზმები

პროგრამასთან დაკავშირებით შიდა მექანიზმებით მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი:
სტუდენტების უკუკავშირი
სტუდენტთა ფოკუსჯგუფების გამოკითხვის/გასაუბრების შედეგები
სტუდენტებთან ღია დისკუსიების დროს მიღებული ინფორმაცია
სწავლებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების უკუკავშირი

პროგრამის შეფასებისთვის გამოყენებული გარე მექანიზმები

პროგრამასთან დაკავშირებით გარე მექანიზმებით მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი:
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები
სამოქალაქო ავიაციის საგენტოს რეკომენდაციები
კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები
დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები

დასკვნა: (შეფასების შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეები/ასპექტები)

გაუმჯობესების რეკომენდაციები